ხელშეკრულება 202-2/1
ქ. თბილისი 2012 წ.

01.03

ერთის მხრივ ქ. თბილისის N202 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ჯალაღონიას სახით და მეორეს მხრივ შპს „საქართველოს ფოსტა" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან სანაძის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებით შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ საკანცელარიო, სამეურნეო და სხვა საქონლის მიწოდების მომსახურების შესყიდვა. CPV 79342320

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.
2.2. ერთჯერადად მომსახურების ღირებულება შეადგენს 6 (ექვსი) ლარს.

3. ანგარიშსწორებისფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ტექნიკურ მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი.
4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი გუთნის ქ. N6
5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2012 წლის 01.03 2012 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ისოდენობით.
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერიცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულგადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლებაშეწყდეს მხარეთა ინიციატივით,ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავებიდამათიგადაწყვეტისწესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტადმხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოსსაქართველოსმოქმედიკანონმდებლობისშესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 01.03.2012წლიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმომწერები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი:
ქ.თბილისის სსიპ #202 საჯარო სკოლა	შპს ,,საქართველოს ფოსტა"
მისამართი; გუთნის ქ.36	მის: ქ. თბილისი ვაგზლის მოედანი #2
ს/კ 206031398	საიდენტიფიკაციო კოდი203836233
ბანკი სს,,ლიბერთი ბანკი " ბ/კ LBRTGE 22	ლიბერთი ბანკი
ა/ა GE83LB0121134143229000	ბანკის კოდი: LBRTGE22
	ა/აGE88LB0113194522215000
ტელ; 2771483; 2773233	ტელ; 2910654
ხათუნა ჯალაღონია	გენერალური დირექტორი
დირექტორი	ლევან სანაძე